

ჰიპოკალციემის დიაბნოსტიკა,
მართვა და პრევენცია

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „პიპოკალციემიის დაიგნოსტიკა, მართვა და პრევენცია“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის № 144/ო ბრძანებით.

1. დეზინიცია, სინონიმები^{1,2}

პიპოკალცემია – კალციუმის დონის დაქვეითება სისხლის პლაზმაში.

სიხლის პლაზმაში საერთო კალციუმის ნორმალური შემცველობა – 2,2-2,7 მმოლ/ლ (8.8 - 10.8 მგ/დლ), იონიზირებული კალციუმის – 1,12-1,23 მმოლ/ლ (4.8 – 4.92 მგ/დლ).

სინონიმები – კალციუმის დაბალი დონე, კალციუმის ნაკლებობა.

მძიმე პიპოკალცემია - საერთო კალციუმის დონე სისხლის პლაზმაში 1,75 - 1,8 მმოლ/ლ, იონიზირებული კალციუმის – 0,8 მმოლ/ლ.

გაიღლაინი განძუთველია

⇒ პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო პერსონალისთვის - ოჯახის ექიმი, უქიმი-პედიატრი, უქთანი.

გაიღლაინის სამიზნე ჯგუფი:

⇒ 1 თვეზე მეტი ასაკის ბავშვები, რომლებსაც აღენიშნებათ პიპოკალცემიის ნიშნები ან მისი განვითარების რისკი.

რეკომენდაცია არ ეხება თირკმლისა და ღვიძლის, მეტაბოლიზმის დარღვევით მიმდინარე დაავადებებს, რომელთაც თან სდევს პიპოკალცემია.

2. მკიდევორეობია

საქართველოში პიპოკალცემიის გავრცელების შესახებ მონაცემები არ არსებობს. ეპიდემიოლოგიური მონაცემები მსოფლიოს მასშტაბითაც არ მოიპოვება. თუმცა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება კალციუმის ნაკლებობა, ხოლო განვითარებადი სამყარო არასრულფასოვანი კვების გამო სერიოზული დეფიციტის წინაშე დგას³.

3. მტიოპათოგენეზი

ეტიოლოგია

პიპოკალცემიის მიზეზი შეიძლება იყოს:

- არარაციონალური კვება - კალციუმით დარიბი საკვები პროდუქტების და უპირატესად უჯრედისით მდიდარი საკვების (აქვეითებს კალციუმის შეწოვას ნაწლავებიდან) მიღება (ადრეულ ბავშვთა ასაკში პიპოკალცემიის უხშირესი მიზეზია);
- D ვიტამინის დეფიციტი – (მიზეზები იხ. რაჭიტის დიაგნოსტიკის, მართვისა და პრევენციის რეკომენდაციაში);

- ტუბულოპათიები – მაგ. ფანკონის სინდრომი;
- თირკმლის უკმარისობა – $1,25$ (OH_2D_3 -ის) წარმოქმნის დათრგუნვა და თანმხლები ჰიპერფოსფატემია;
- მაგნიუმის დეფიციტი – კვებითი დეფიციტისა და ნაწლავური მალაბსორბციის გამო;
- ჰიპოპროტეინემია – კალციუმისა და ცილის კავშირის დარღვევის გამო;
- “შშიერი ძვლის” სინდრომი – ვითარდება თირეოიდექტომიის შემდეგ ჰიპოპარათირეოიდიზმის გამო. ამ დროს ხდება შრატიდან კალციუმის ძვალში ჩალაგება, ვითარდება ჰიპოკალცემია, რომელსაც თან სდევს ჰიპოფოსფატემია და ჰიპომაგნემია;
- ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის გამოყენება – ანტიკონვულსანტები, შარდმდენები, რიფამპიცინი.

პათოგენეზი¹⁻⁴

კალციუმი აქტიურად მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა პროცესში, როგორიცაა:

- ძვლების მინერალიზაცია და შესაბამისად ძვალ-სახსროვანი სისტემის ნორმალური განვითარება;
- უჯრედშიდა პროცესების რეგულაცია;
- უჯრედული ფერმენტული კასკადების გააქტიურება;
- გლუკო მუსკულატურისა და მიოკარდიუმის შეკუმშვა;
- ნერვული იმპულსის გადაცემა;
- ჰორმონების გამოყოფა;
- სისხლის კოაგულაცია.

კალციუმის 99% დეპონირებულია ძვლებში, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობა არის პლაზმასა და ქსოვილოვან სითხეში. პლაზმაში კალციუმი სამი სახითაა წარმოდგენილი: იონიზირებული (50%), პროტეინთან შეკავშირებული (40%) და მცირე რაოდენობით ციტრატისა და ფოსფატის სახით. პლაზმაში კალციუმის მუდმივი დონის შენარჩუნება ჰორმონების მეშვეობით ხორციელდება (პარათირეოიდული ჰორმონი და კალციტონინი). კალციუმის ცვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფოსფორისა და მაგნიუმის ცვლაზე, რის გამოც ხშირია მათი დონის ერთდროული ცვლილებები.

ჰიპოკალცემიის საპასუხოდ პარათირეოიდული ჯირკვლის სტილმულაციის შედეგად ხდება პარათჰორმონის გამოყოფა, რომელიც განაპირობებს კალციუმის გამორეცხვას ძვლოვანი ქსოვილიდან, კალციუმის რეაბსორბციას თირკმლის მიღაკებიდან, ხელს უწყობს D ვიტამინის აქტიური მეტაბოლიტის წარმოქმნას, აქვეითებს შრატში ფოსფორის დონეებს. იმ შემთხვევაში თუ ჰიპოკალცემია ხანგრძლივად გრძელდება, ჯირკვლის ჰიპერფუნქციის გამო ადგილი აქვს მის ჰიპერპლაზიასა და ჰიპერტროფიას. კალციტონინი ამცირებს ძვლებიდან კალციუმის სისხლში გადმოსვლას და აძლიერებს შარდით მის გამოყოფას.

ჰიპოკალცემია აქვეითებს ნეირონების აგზნების ზღვარს, რის გამოც ერთჯერად სტიმულაციაზე ვითარდება განმეორებადი საპასუხო რეაქცია. ხდება როგორც სენსორული, ისე მოტორული ნერვების აგზნება, რაც იწვევს პარესთეზიებს, ტეტანიას, კრუნჩევებს და ფსიქიკურ პრობლემებს. ჰიპოკალცემიამ შეიძლება გამოიწვიოს მიოკარდიუმის კუმულაციის დაქვეითება.

ბავშვთა ასაკში იზოლირებულად კალციუმის ნაკლებობა იშვიათი მოვლენაა და მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვები არ დებულობენ რძის პროდუქტებს. კალციუმის ცვლის დარღვევა, რომელიც გამოწვეულია რაქიტით და სტეატორეით, როგორც წესი დაკავშირებულია D ვიტამინის ნაკლებობასთან და არა კალციუმის დეფიციტთან.

4. კლინიკური სიმატოგაფია^{1,2,5,6}

ჰიპოკალცემიის დროს ვითარდება ძვალ-სახსროვანი და ნერვული სისტემის დაზიანება. მსუბუქი ჰიპოკალცემია წვეულებრივ ასიმპტომურია. კლინიკური გამოვლინება ძირითადად ნერვ-კუნთოვან აღგზებადობასთან არის დაკავშირებული. ვლინდება ზურგისა და კიდურების კუნთოების უნებლივ მტკივნეული შეკუმშვა, უფროსი ასაკის ბავშვები უჩივიან პარესტეზიებს.

ჰიპოკალცემიის კლასიკური გამოვლინებაა ტეტანია, რომელიც შეიძლება იყოს ლატენტური ან მანიფესტირებული.

ლატენტური ტეტანია ვლინდება, როდესაც კალციუმის შემცველობა არ არის მკვეთრად დაქვეითებული (საერთო კალციუმი პლაზმაში 1,75-2,2 მმოლ/ლ ან 7-8მგ/დლ). ლატენტური ტეტანიის გამოსავლენად გამოიყენება ხვოსტეკის, ტრუსოსა და ლუსტის სიმპტომები.

ხვოსტეკის ნიშანი - ძაღლის ფოსოში (ყვრიმალის ძვლის ქვემოთ) თითის დარტყმისას ცხვირის, ტუჩებისა და თვალის ირგვლივი კუნთოების შეკუმშვა. არ არის სპეციფიური, რადგან შემთხვევათა 10%-ში გვხვდება ჰიპოკალცემიის გარეშეც. ცრუ დადებითი ხვოსტეკი გვხვდება ახალშობილებში.

ტრუსოს სიმპტომი - ორთავა კუნთის არეში წნევის საზომის მანქეტით (წნევა 20 მმ ვსწყ. სვ.) ან ლახტით 3 წუთის განმავლობაში ზეწოლისას ხელის მტევნის სპაზმის – “მეანის ხელი” განვითარება. უფრო სპეციფიური და სენსიტიურია, მაგრამ იწვევს ბავშვის დისკომფორტს, რის გამოც იშვიათად გამოიყენება.

ლუსტის სიმპტომი – მცირე წვივის ძვლის თავზე ჩაქუჩის დარტყმისას ტერფის ზურგისკენ მოხრა და გაშლა.

მანიფესტირებულ ტეტანიას ადგილი აქვს მძიმე ჰიპოკალცემიის დროს ($\text{Ca} < 7 \text{ მგ/დლ}$ ან 1.75-1.8 მმოლ/ლ). იგი ვლინდება კარპოპედალური სპაზმით, ლარინგოსპაზმითა და კრუნჩებით.

კარპოპედალური სპაზმი - ხელის მტევნისა და ტერფის კუნთოების სპაზმური შეკუმშვა, რომელიც ვლინდება “მეანის ხელით” და ტერფის განზიდვით.

ლარინგოსპაზმი – ხორხის კუნთოების და მბგერავი იოგების სპაზმი, რომლის შედეგადაც ვითარდება ინსპირაციული სტრიდორი, ხშირად საჭიროებს დიფერენცირებას კრუპის სინდრომისგან.

კრუნჩების შეიძლება იყოს ჰიპოკალცემიის გამოვლენის პირველი კლინიკური ნიშანი, განსაკუთრებით წვილებში. ის როგორც წესი გენერალიზებული ხასიათისაა, თუმცა შეიძლება იყოს პარციალური. უფრო ხშირად ხანმოკლეა, იშვიათად ახასიათებს განმეორებითი მიმდინარეობა. პაციენტი არ კარგავს გრძნობას, თუმცა განმეორებითი კრუნჩებისას შესაძლებელია კრუნჩებითი სტატუსის ჩამოყალიბება.

ჰიპოკალცემიის დროს შეიძლება დაგვიანდეს კბილების ამოსვლა, კბილები შეიძლება იყოს ემალის დეფექტებით, კარიესული.

ხანგრძლივი და მძიმე ჰიპოკალცემიის შემთხვევაში შესაძლებელია გონებრივი განვითარების შეფერხება. ასევე ვითარდება კანის სიმშრალე, თმის ცვენა და ფრჩხილების მტკრევადობა, კატარაქტა და დერილის შეშუპება.

ხანგრძლივად მიმდინარე ჰიპოკალცემიის დროს კლინიკური გამოვლინებები დამოკიდებულია ეტიოლოგიურ ფაქტორზე. D ვიტამინის დეფიციტის დროს ადგილი აქვს თანმხლებ ჰიპოფოსფატემიას და მეორად ჰიპერპარათორეოდიზმს, ირლვევა ძველების მინერალიზაცია და ვითარდება რაქიტის კლინიკა.

5. ჰიპოკალცემიის დიაგნოზი

ჰიპოკალცემიის დიაგნოზი ეფუძნება კლინიკურ ნიშნებს (ხვოსტეკის, ტრუხელსა და ლუსტის სიმპტომები, კარპოპედალური საკაზმი, ლარინგოსკაზმი და კრუნჩხევა), დიაგნოზი დასტურდება ლაბორატორიულად – ჰიპოკალცემიის არსებობით. სიხლის პლაზმაში საერთო კალციუმი $< 2,2$ მმოლ/ლ-ზე (8.8 მგ/დლ), იონიზირებული კალციუმი $< 1,12$ მმოლ/ლ (4.8 მგ/დლ).

დიზერხენციული დიაგნოზი^{1,2,6,7}

- ჰიპოკარათირეოდიზმი:
 - აუტოიმუნური;
 - პოსტოპერაციული;
 - ჰიპომაგნემია;
 - ფსევდოპიპოპარათირეოდიზმი.
- ჰიპერფოსფატემია;
- ვიტამინ D დეფიციტური რაქიტი;
- “მშიერი ძვლის” სინდრომი;
- ღვიძლის მძიმე დაავადება;
- ნეფროზული სინდრომი;
- თირემლის უკმარისობა;
- ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტი.
- ლარინგოსკაზმის შემთხვევაში საჭირო დიფერენცირება კრუპის სინდრომისგან.

6. ბამოკვლევის სქემა^{1,2,6,7}

ლაბორატორიული კვლევა

- ◆ იონიზირებული კალციუმის განსაზღვრა - იონიზირებული კალციუმის ნორმალური შემცველობა $-1,12-1,23$ მმოლ/ლ (4.8 – 4.92 მგ/დლ). იონიზირებული კალციუმის დონის განსაზღვრით შესაძლოა ჭეშმარიტი ჰიპოკლაცემიის დადგენა.
- ◆ სისხლში საერთო კალციუმის განსაზღვრა - ჰიპოკალცემიის შეფასების საშუალებას იძლევა (სისხლის პლაზმაში საერთო კალციუმის ნორმალური შემცველობა $- 2,2-2,7$ მმოლ/ლ (8.8 -10.8 მგ/დლ)). მოცემული ტესტის გამოყენება არ არის რეკომენდებული ჰიპოალბუმინემიის დონს, რადგან ასეთ შემთხვევაში საერთო კალციუმის დაბალი დონე ყოველთვის არ მიუთითებს იონიზირებული კალციუმის დაბალ შემცველობაზე. ამიტომ თუ სახეზეა ჰიპოკალცემიის ნიშნები

და სავარაუდოა ჰიპოალბუმინემია, ყოველთვის უნდა განისაზღვროს იონიზირებული კალციუმის რაოდენობა. თუ ვერ ხერხდება იონიზირებული კალციუმის რაოდენობის განსაზღვრა საჭიროა შრატის საერთო კალციუმისა და ალბუმინის რაოდენობის განსაზღვრა და კალციუმის რეალური მაჩვენებლის გამოთვლა შეძლები ფორმულით.

$$Ca_f (\text{მგ/დლ}) = Ca_g (\text{მგ/დლ}) + 0,8 (4,4 - A (\text{გ/დლ}))$$

Ca_f - კალციუმის რეალური მაჩვენებელი (მგ/დლ)

Ca_g განსაზღვრის შეძლებად მიღებული კალციუმის საერთო რაოდენობა (მგ/დლ)

A შრატის ალბუმინის რაოდენობა (გ/დლ)

4,4 არის ალბუმინის საშუალო შემცველობა სისხლის შრატში.

- ◆ **შრატში მაგნიუმის განსაზღვრა** – შესაძლოა იყოს დაბალი. ჰიპოკალციუმია არ კორეგირდება, თუ არ მოხდა ჰიპომაგნემიის კორექცია.
- ◆ **ფოსფორის განსაზღვრა** – ფოსფორის დონე მაღალია ფსევდოპიპერპარათირეოიდიზმის, ჰიპერპარათირეოიდიზმის და თირკმლის უკმარისობის დროს, დაბალია რაქიტის დროს.
- ◆ **პარაჰიპორმონის განსაზღვრა** – ნაჩვენებია ფოსფორის მომატებული ან ნორმალური შემცველობის დროს.
- ◆ **შარდში კალციუმის, მაგნიუმის და კრეატინინის განსაზღვრა** - ტუბულოპათიასა და თირკმლის უკმარისობაზე ეჭვის დროს.
- ◆ **შრატში ტუტე ფოსფატაზას განსაზღვრა და რენტგენოლოგიური კვლევა** - რაქიტისგან დიფერენცირებისთვის.
- ◆ **ეპგ** – მოსალოდნელია QT და ST ინტერვალის გახანგრძლივება, T ტალღის ცვლილებები, არითმია და ბლოკადა.
- ◆ **სისხლში 25(OH)D განსაზღვრა** – დაქვეითებულის, <40 ნმოლ/ლ

გირშიმიური ცელილებები ჰიპოკალციუმის დროს				
დიაბეტი	შრატის ფოსფორი	შრატის პარაჰიპორმონი	შრატის 25 (OH)D	შრატის 1,25 (OH) ₂ D ₃
ჰიპოპარათირეოიდიზმი	მომატებული	დაქვეითებული	ნორმა	დაქვეითებული
ფსევდოპიპერპარათირეოიდიზმი	მომატებული	მომატებული	ნორმა	დაქვეითებული
D ვიტამინის დეფიციტი (კვებითი, მაღალსორბცია)	დაქვეითებული	მომატებული	დაქვეითებული	დაქვეითებული/ნორმა/მომატებული
თირკმლის უკმარისობა	მომატებული	მომატებული	ნორმა	დაქვეითებული
ღვიძლის მძიმე დაგვადება	დაქვეითებული	მომატებული	დაქვეითებული	დაქვეითებული/ნორმა
ნეფროზული სინდრომი	დაქვეითებული	მომატებული	დაქვეითებული	დაქვეითებული/ნორმა
ჰიპომაგნემია	დაქვეითებული/	დაქვეითებული	ნორმა	დაქვეითებული

ნორმა	ნორმა	ნორმა/ნორმა		
ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტი, ტიპი I	დაქვეითებული	მომატებული	ნორმა/მომა ტებული	დაქვეითებუ ლი
ვიტამინ D დამოკიდებული რაქიტი, ტიპი II	დაქვეითებული	მომატებული	ნორმა/მომა ტებული	მომატებული

7. მპურნალობის სმიშა

მანიფესტირებული მძიმე ჰიპოკალციუმის კორექცია ტარდება კალციუმის ინტრავენურად შეეგანის გზით -1-2 მლ/კგ 10% კალციუმის გლუკონატი ან 0,5-0,7 მლ/კგ 10% კალციუმის ქლორიდი. შეყვანა ხდება 10-20 წუთის განმავლობაში. ინტრავენური ინფუზიის დროს საჭიროა სიფრთხილე სწრაფმა შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს გულის რითმის დარღვევები, კალციუმის რბილ ქსოვილებში გაუონვამ კი ნეკროზი^{7,12}. თუ გულისცემის სიხშირე კალციუმის შეყვანის დროს ქვეითდება < 60-ზე წთ-ში, წამლის შეყვანა უნდა შეწყდეს.

საჭიროების შემთხვევაში კალციუმის დოზა შეიძლება განმეორდეს ყოველ 6-8 სთ-ში. ან პირველი დოზის შეყვანის შემდეგ შეიძლება მოხდეს კალციუმის დოზირებული ინფუზია^{7,12}:

- 2 წლამდე ასაკის ბავშვებში
 - ⇒ 8 მლ/კგ/24სთ-ში 10% კალციუმის გლუკონატი ან
 - ⇒ 3 მლ/კგ/24სთ-ში 10% კალციუმის ქლორიდი
- 2 წელზე მეტი ასაკის ბავშვებში
 - ⇒ 5 მლ/კგ/24სთ-ში 10% კალციუმის გლუკონატი ან
 - ⇒ 2 მლ/კგ/24სთ-ში 10% კალციუმის ქლორიდი

კალციუმის ინფუზიის დროს საჭიროა კალციუმის დონის კონტროლი.

დაუშვებელია კალციუმის შემცველი პრეპარატის შერევა ფოსფორის და ბიგარბონატის შემცველ სითხეში?

ინტრავენური ინფუზიით კალციუმის დონის სტაბილიზაციის შემდეგ აუცილებელია კალციუმის ენტერალური გზით შეყვანა^{1,7}. Per os რეკომენდებულია ელემენტარული კალციუმის 50 მგ/კგ/24 საათში გაყოფილი 3-4 მილებაზე და კალციუმით მდიდარი დიეტი.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტში კალციუმი უკავშირდება ფოსფორს და აქვეითებს მის შეწოვას, ამიტომ ჰიპოფოსფატემიის დროს კალციუმის პრეპარატების მიღება რეკომენდებულია კვებათა შორის, რათა არ მოხდეს ჰიპოფოსფატემიის გაღრმავება.

მალაბსორბციის, მალნუტრიციის და რაქიტის კლინიკური ნიშნების არსებობის დროს საჭიროა D ვიტამინის დამატება (იხ. გაიდლაინი - რაქიტის დიაგნოსტიკა, მართვა, პრევენცია).

პიპომაგნიუმია

პიპომაგნიუმიის დროს უნდა მოხდეს მაგნიუმის დონის კორექცია, შესაძლებელია მაგნიუმით მდიდარი დიეტით (მრცვლოვნები, თხილი, ნიგოზი, მზესუმზირა, თევზი, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, სოიო, რძის პროდუქტები, კანიანად მომზადებული კარტოფილი). თუ გამოხატულია მძიმე დეფიციტი შეიძლება მაგნიუმის სულფატის ინტრამუსკულური შეევანა (მაგნიუმის სულფატის 50% ხსნარის 0,125მლ/კგ), კრუნჩხვის დროს დასაშვებია ინტრავენური გამოყენება.¹²

მკურნალობის გართულება

მკურნალობის გართულებად შეიძლება ჩაითვალოს პიპერკალცემია^{1,4,8}

პიპერკალცემია ბაგშვებში ძალიან იშვიათია. პიპერკალცემიის კლინიკური ნიშნებია^{4,8}:

- ნერვული სისტემა – პიროვნული ცვლილებები, სისუსტე, თავის ტკივილის, ჰალუცინაცია, დეპრესია, პიპორეფლექსია, ცნობიერების დაბინდვა;
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტი – პარალიზური ილეუსი - ღებინება, ანორექსია, ყაბზობა, პანკრეატიტი;
- საშარდე სისტემა – კენჭები, თირკმლისმიერი დიაბეტი, თირკმლის უკმარისობა;
- ძვალ-სახსროვანი სისტემა – ძვლების ტკივილი;
- გულ-სისხლძარღვთა სისტემა - ბრადიკარდია, პიპერტენზია.

მკურნალობა^{4,8} – უნდა შეიზღუდოს კალციუმის შემცველი საკვები, შეწყდეს კალციუმის პრეპარატების გამოყენება. თუ კალციუმის დონე აღემატება 13,5-14 მგ/დლ –ს საჭიროა სასწრაფო ჩარევა. ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრავენური ინფუზია, ფუროსემიდი ვენაში (1 მგ/კგ), თუ შედეგი არ არის - კალციტონინი 4 ერთ/კგ კანქექშ 12 სთ-ში ერთხელ. დ პიპერვიტამინოზის დროს შეიძლება გლუკოკორტიკოიდების შეევანაც.

სტაციონარში რეზერალის ჩვენებები:

- მძიმე პიპოკალცემია;
- გენერალიზებული კრუნჩხვა და ლარინგოსკაზმი;
- უეფექტო მკურნალობა (მიზეზის დადგენის თვალსაზრისით).

პროცედატიპა

პიპოკალცემიის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა რაციონალური კვება

- 9 წლამდე ბავშვი დღის განმავლობაში უნდა იღებდეს მინიმუმ 2 ულუფა რძის პროდუქტს;
- 9 წელზე მეტი ასაკის ბავშვი დღის განმავლობაში უნდა იღებდეს მინიმუმ 3 ულუფა რძის პროდუქტს

ერთ ულუფას შეადგენს

- 1 ჭიქა მაწონი ან
- 45 გრ. ანუ ასანთის კოლოფის ზომის ყველის ნაჭერი ან
- 1 ჭიქა რძე ან
- 1/2 ჭიქა ხაჭო

კალციუმის წყაროა რძე და რძის პროდუქტები, თევზი, ნიგოზი და მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული.

კალციუმის შეწოვას ამცირებს ფოსფორი, ფიტინი (დიდი რაოდენობითაა მანანის ბურღულში) და ოქსალატები.

ქალის რძე შეიცავს კალციუმის საკმარის რაოდენობას და სრულად აკმაყოფილებს ჩვილის მოთხოვნილებებს 6 თვემდე.

სარწმუნო კვლევები ადასტურებს, რომ ქალის რძიდან კალციუმის შეწოვა უფრო მაღალია, ვიდრე ფორმულით კეტისას (58% და 38% შესაბამისად). 1 წლის ასკამდე არ არის რეკომენდირებული განუზავებელი ძროხის რძის გამოყენება, 6 თვის შემდეგ კვების რაციონში საჭიროა მაწვნის და ყველისა შეყვანა^{9,10}.

კალციუმზე მოთხოვნილება სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია:

ამერიკის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი 1994

	Ca-ის დღეულამური მოთხოვნილება მგ-ში	
პერიოდები	ამერიკის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ³
6 თვემდე ასაკი	400	500
6-12 თვე	600	600
1-5 წლის ბავშვები	800	600
6-12 წელი	800- 1200	400-450
12 წელზე მეტი ასაკის ბავშვები	1200-1500	

რეკომენდაცია: ის ბავშვები, რომლებიც 9 თვის ასაკის შემეგ არ დებულობენ დედის რძეს, ძროხის რძის პროდუქტების ადექვატურ რაოდენობას, უნდა დებულობდნენ კალციუმის ყოველდღიურ დანამატებს³.

ამერიკის მეცნიერების ნაციონალური აკადემია და ამერიკის პედიატრთა აკადემია 1-დან 18 წლამდე კალციუმის მიღების ზედა ზღვრად მიიჩნევს 2500მგ/დღეში¹¹.

დედასთან პოსულაციის საკითხები

მეთვალყურეობის ვიზიტების დროს აუცილებელია ჯანსაღი, ბალანსირებული კვების პროპაგანდა:

- ექსპლუზიური ძუძუთი კვება;
- ორ წლამდე ძუძუთი კვების გაგრძელება;
- დამატებითი საკვების დროულად დაწყება;
- კალციუმით მდიდარი საკვების მიღება (ბავშვებში დღეში 2-3 ულუფა).

11. ბაიდლანის ბადასინჯვისა და ბანახლების გადა – 2 წელი

12. გაიდლაინის მიღების ხერხი/შპარო

გაიდლაინის შემუშავების მეთოდოლოგია

- პიპლაცემიის პრევენციის და მართვის პრინციპების შესახებ არსებობს სამეცნიერო მტკიცებულების საფუძველზე შექმნილ რეკომენდაციების ძალიან მცირე რაოდენობა. მოცემული გაიდლაინის შექმნის პროცესში სამუშაო ჯგუფის გადაწყვებილებით მოძიებული და შევასებული იქნა უკვე არსებული პრაქტიკული რეკომენდაციები. მოხდა არსებული რეკომენდაციების ადაპტირებული ვარიანტის შემუშავება, რომელიც ერთის მხრივ პასუხებს საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო მეორე მხრივ ითვალისწინება საქართველოს სამედიცინო დაწესებულებათა როგორც ადამიანურ, ისე ტექნიკურ რესურსებს.
- რეკომენდაციათა მოძიება ხორციელდებოდა კლინიკური რეკომენდაციების საერთაშორისო რესტრებში ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენებით ინტერნეტში.

ცხრილი 2

ქვეყანა და რესურსის დასახელება	ინტერნეტ-მისამართი
აშშ	
US National Guideline Clearinghouse (NGC)	http://www.guideline.gov
Centers for Disease Control and Prevention (CDC)	http://www.phppo.cdc.gov/CDCRecommends/AdvSearchV.asp
Agency for Healthcare Research and Quality (AHRQ)	http://www.ahrq.gov/clinic/cpgsix.htm
Health Services Technology Assessment Text (HSTAT) and National Library of Medicine (NLM)	http://hstat.nlm.nih.gov
Institute of Clinical Systems Improvement (ICSI)	http://www.icsi.org
American Medical Association	http://www.ama-assn.org
Canadian Medical Association (CMA)	http://mdm.ca/cpgsnew/cpgs/index.asp
Health Canada – Population and Public Health Branch (PPHB)	http://www.hc-sc.gc.ca/pphb-dgspsp/dpg_e.html
დიდი ბრიტანეთი	
National Institute for Clinical Excellence (NICE)	http://www.nice.org.uk
Sheffield Evidence for Effectiveness and Knowledge (SEEK)	http://www.shef.ac.uk/seek/guidelines.htm
National electronic Library for Health (NeLH)	http://www.nelh.nhs.uk/guidelinesfinder

PRODIGY Clinical Guidance	http://www.prodigy.nhs.uk/ClinicalGuidance
Scottish Intercollegiate Guidelines Network (SIGN)	http://www.sign.ac.uk
German Guideline Information Service (GERGIS)	http://www.leitlinien.de/english/english/view;
ავსტრალია	
Australian National Health and Medical Research Council (NHMRC)	http://www.health.gov.au/hfs/nhmrc/publicat/cp-home.htm
ახალი ზელანდია	
New Zealand Guidelines Group (NZGG)	http://www.nzgg.org.nz/library.cfm
მტკიცებითი მედიცინის სპეციალისტთა რეგიონთა შორისი საზოგადოება	http://www.osdm.org

კლინიკური რეკომენდაციების და მტკიცებულებების მოძიების დამატებითი წყაროები და მეთოდები

- კონკრეტული მედიცინის ბიბლიოთეკა - *The Cochrane Library 2006, Issue 2;*
- ამერიკის სამედიცინო ბიბლიოთეკის მიერ შექმნილ ალექტრონულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზა - მედლაინი - *MEDLINE.*

პუბლიკაციების ჩართვის/გამორიცხვის კრიტერიუმები

- კვლევები შემდეგი დიზაინით: რანდომიზირებული საკონტროლო კვლევები, სისტემატიური მიმოხილვები და მეტა-ანალიზი, ერთმომენტიანი, კოპორტული კვლევები;
- რეკომენდაციის მომზადებისას ძირითადად დადგენილი იყო დროის 12 წლიანი შეზღუდვა. თუმცა ზოგჯერ გამოყენებული იყო უფრო ადრეული პუბლიკაციები, რომლებიც დღესაც აქტუალურია და საფუძვლად უდევს სხვა თანამედროვე მტკიცებულებებს;
- დადგენილი იყო ენობრივი შეზღუდვები, რადგანაც სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობა პქონდა ლიტერატურის წყაროები შეესწავლა მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მოძიებული კლინიკური რეკომენდაციებისა და მტკიცებულებების ანალიზი

- სამუშაო ჯგუფის მიერ ტარდებოდა მოძიებული წყაროების ანალიზი. ჩატარებული ძიების შედეგად მიღებული იყო რამდენიმე კლინიკური რეკომენდაცია პიპოკალცემის მართვის და პრევენციის საკითხებზე, რომლებიც შეიცავდა ჯგუფის მიზნის შესაფერის საჭირო ინფორმაციას. ამ რეკომენდაციების შეფასებისას გამოყენებული იყო რეკომენდაციათა ატესტაციისა და ექსპერტის კითხვარი - AGREE (94,96-98). სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ

შემუშავებული ნაციონალური გაიდლაინების გზამკვლევით. შეფასების შედეგად ამორჩეული იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების გაიდლაინები:

- ⇒ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
- ⇒ ნელსონის სახელმძღვანელო “პედიატრია”
- ⇒ ამერიკის პედიატრიის აკადემიია

- რეკომენდაციების მტკიცებულებათა დონეების განსაზღვრისას გამოყენებული იყო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მტკიცებულებების დონისა და რეკომენდაციების ხარისხის სქემა.

მტკიცებულებათა დონეებისა და რეკომენდაციების ხარისხის სქემა

დონე	მურგიტეშლების სიმლიერის დონე (Muir Gray)	ხარისხი	ოპორმენდაციის ხარისხი (Cook et al)
I	ძლიერი მტკიცებულება, ეყრდნობა მინიმუმ ერთ სისტემურ მიმოხილვას, რომელიც ეფუძნება სწორი დიზაინის მქონე რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევა	A	ეყრდნობა I დონის მტკიცებულებას და შესაბამისად მტკიცედ რეკომენდებულია
II	ძლიერი მტკიცებულება, ეყრდნობა მინიმუმ ერთი სწორი დიზაინის მქონე რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევა	B	ეყრდნობა II დონის მტკიცებულებას და შესაბამისად მტკიცედ რეკომენდებულია
III	კლინიკური კვლევა რანდომიზაციის გარეშე, კოპორტული და შემთხვევა- კონტროლის კვლევები	C	ეყრდნობა III დონის მტკიცებულებას შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისად
IV	არაექსპერიმენტული მულტიცენტრული კვლევები	D	ეყრდნობა IV და V დონის მტკიცებულებას საჭიროებს კონსესუს
Va	ავტორიტეტულ პროფესიონალთა მოსაზრება		
Vb	კლინიკური გამოცდილება, აღწერილობითი კვლევები ან ექსპერტთა ანგარიში		

13. ალტერნატიული გაიდლაინი არ არსებობს

14. გამოყენებული ლიტერატურა:

1. Behrman ,Kleigman, Jenson. Nelson Test Book of Pediatrics 17-th edition.2004
2. Abhay Singhal – Hypocalcemia – emedicine, Last Updated: September 14, 2006 <http://www.emedicine.com/ped/topic1111.htm>
3. Guidelines on infant and child feeding.WHO 2003

4. I. A Claudius, MD – Hypercalcemia, eMedicine <http://www.emedicine.com/PED/topic1062.htm> Last Updated: May 25, 2006
5. Urbano F. L. - Signs of Hypocalcemia: Chvostek's and Trousseau's Signs - Hospital Physician March 2000 p 43-45
6. T. A. GUISE, G. R. MUNDY - CLINICAL REVIEW 69: Evaluation of Hypocalcemia in Children and Adults, Journal of Clinical Endocrinology and Metabolism Vol. 80, No. 5 1995
7. Care of Children With a Hypocalcemic Crisis Andrew Muir Medical College of Georgia February 27, 2004 <http://www.mcgs.edu/pediatrics/pedsendo/hypocalcemia.htm>
8. Shah I. HYPERCALCEMIA DUE TO HYPERVITAMINOSIS D Last Updated on 22-11-2004 http://pediatriconcall.com/fordoctor//CaseReports/hypercalcemia_hypervitaminosis.asp
9. Forman, Nelson . Calcium, phosphorus, magnesium and sulfur. Nutrition of normal infant1993, 192-218
10. Complementary feeding of young children in developing countries: a review of current scientific knowledge. Geneva, WHO, 1998 (doc.WHO/NUT/98.1)
11. Institute of Medicine, Food and nutrition Board Dietary reference intakes for calcium, phosphorus, magnesium, Vitamin D and fluoride. NAP 1997
12. Fleishner G.R et al – Hypocalcemia - Text Book of Emergency Medicine – 1993, 682-684
13. Frank R. Greer, Krebs N and Committee on nutrition. Optimizing Bone health and Calcium intakes of infant, children, and Adolescents. AAP.

15. ავტორთა ჯგუფი:

პედიატრთა და ეონფოლოგთა კავშირი „ალტერნატივა“

სამუშაო ჯგუფი:

- ⇒ მაია ხერხეულიძე – მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი. პედიატრთა და ნეონტოლოგთა კავშირი „ალტერნატივა“-ს წევრი;
- ⇒ ნანი ყავლაშვილი – მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი. პედიატრთა და ნეონტოლოგთა კავშირი „ალტერნატივა“-ს წევრი;
- ⇒ ეკა კანდელაკი – მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი პედიატრიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. პედიატრთა და ნეონტოლოგთა კავშირი „ალტერნატივა“-ს წევრი;
- ⇒ თამარ მანჯავიძე – მედიცინის დოქტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. პედიატრთა და ნეონტოლოგთა კავშირი „ალტერნატივა“-ს წევრი.

მქსავრთი:

- ⇒ მედეა ბელეშაძე – მედიცინის დოქტორი, ბავშვის უფლებათა დაცვის ასოციაცია “კლარიტასი XXI” პრეზიდენტი;

- ⇒ ქეთევან ნემსაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების პროფესორი;
- ⇒ ლელა წოწორია – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტი;
- ⇒ თეა თავიდაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტი.